აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კულტურული მემკვიდრეობის
საბჭო

№03-07/58 ,,28'' 12 2023 წელი
ქ. ბათუმი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოზე განხილულ იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის გიორგი წანაწყენიშვილის მიერ №06-1423361570 წერილით გადამოგზავნილი განცხადება, ქ. ბათუმში, ჩიხი ბარათაშვილი №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.22.27.013) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე (ოქმი №03-06/12 28.12.2023 წ).

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს შექმნის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის №18 დადგენილების, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 75-ე, 84-ე და მე-100 მუხლების, „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 109-ე მუხლის, ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ'' კანონის 36-ე და 40-ე მუხლის, ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების, მე-3 მუხლის ,,მ'' ქვეპუნქტის საფუძველზე

საბჭომ გადაწყვიტა:

შეთანხმებულ იქნას, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, ქ.ბათუმში, ჩიხი ბარათაშვილი №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.22.27.013) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარე:
აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს
დირექტორის მ/შ - **ზაურ ახვლედიანი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი - **დავით ზოიძე**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის
სამსახურის უფროსი - **გიორგი წანაყწენიშვილი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტროს სივრცითი მოწყობისა და ტექნიკური
ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი - **ნუგზარ ძნელაძე**